THE BGA ROAR

NEWSLETTER BY
British-Georgian Academy

მნიშვნელოვანი თარიღები:

2023 წლის 4 დეკემბერი (15:45-18:00): მე-9 კლასის მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინდივიდუალური შეხვედრები;
2023 წლის 6 დეკემბერი: მათემატიკის სწავლება დაწყებითი წლების მეოთხე კლასელთათვის - დილის შეხვედრა მშობლებთან;
2023 წლის 9 დეკემბერი: თექვსმეტწამდელ გოგონათა შეჯიბრი ფრენბურთში (10:30 - 17:00 - თბილისის თავისუფალი სკოლა)
2023 წლის 9 დეკემბერი: ბრიტანულ-ქართული აკადემიის წარმომადგენლები ესწრებიან გენდერული თანასწორობის შეხვედრას საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში
2023 წლის 11 დეკემბერი (15:45-18:00): მე-10 კლასის მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინდივიდუალური შეხვედრები;
2023 წლის 11 - 21 დეკემბერი: საერთაშორისო საბაკალავრო სადიპლომო პროგრამის გამოცდები;
2023 წლის 11 - 21 დეკემბერი: 10 კლასის iGCSE იმიტირებული გამოცდები;
2023 წლის 12 დეკემბერი: სკოლამდელი განათლების მოსწავლეებისა და 1 კლასის მოსწავლეების ერთობლივი საშობაო ღონისძიება;
2023 წლის 14 დეკემბერი: მე-2 და მე-3 კლასის მოსწავლეების საშობაო ღონისძიება;
2023 წლის 15 დეკემბერი: სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მოსწავლეთა ზამთრის ფესტივალი;
2023 წლის 15 დეკემბერი: დაწყებითი საფეხურის წიგნის კლუბის მონაწილეების დაჯილდოება (ბრინჯაო);
2023 წლის 22 დეკემბერი: 2024 წლის 8 იანვარი: ზამთრის არდადეგები;
2024 წლის 9 იანვარი: გაზაფხულის სემესტრის დასაწყისი;
2024 წლის 10 იანვარი: დილის შეხვედრები (9:00 - 10:00 სკოლაში / 16:00 - 17:00 ონლაინ) მშობელთა კითხვარის უკუკავშრი;
2024 წლის 18 იანვარი: დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრები.

დირექტორის მიმართვა

ძვირფასო აკადემიის წევრებო,

გილოცავთ კიდევ ერთი მიღწევებით სავსე კვირის წარმატებით დასრულებას. ჩემთვის, როგორც დირექტორისთვის, სასწავლო პროცესის თანამონაწილეობა ყველაზე დიდი სიამოვნებაა. ერთ-ერთი ასეთი სასწავლო ღონისძიება საშუალო-საბაზო საფეხურის დაჯილდოების ცერემონია იყო, სადაც ჩვენი მოსწავლეების მიღწევები აღვნიშნეთ არა მარტო აკადემიური, არამედ სკოლის ფასეულობების დემონსტრირებისა და 100%-იანი დასწრების კუთხით. ეს უკანასკნელი, როგორც არაერთმა კვლევამ დაადასტურა, პოზიტიურად აისახება საგაკვეთილო პროცესსა და მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე.

არანაკლებ წარმატებული გამოდგა კვირა ჩვენს უმცროსკლასელთათვის. დავესწარი IPC-ის თემის დახურვას და სალათის დეგუსტატორობაც მხვდა წილად. მიუხედავად მცირე ასაკისა, ჩვენი პატარები საოცარი ენთუზიაზმით გვიზიარებდნენ ცოდნას ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.

პროცესს არც მეხუთეკლასელები გამოაკლდნენ და მიმდინარე საბუნებისმეტყველო მოდულის „ადამიანის სხეული" დახურვა წარმოგვიდგინეს. ცოდნა, რომელიც მოსწავლეებმა გამოავლინეს შთამბეჭდავი იყო, თუმცა უფრო მეტი აღფრთოვანება მათი ორგანიზებულობის, კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარებიმა გამოიწვია.

მინდა მადლობა გადაგიხადოთ მშობლებს, რომლებიც შემოგვიერთდით და ჩვენთან ერთად გაიზიარეთ მოსწავლეთა წარმატება.

ჰაუს ქულები

მოხარული ვარ, განახლებული ჰაუს ქულები გაგაცნოთ. ქულები მოსწავლეებმა პოზიტიური ქცევის, ძალისხმევისა და აკადემიურ მიღწევებში მოპოვებული წარმატებით მოაგროვეს.

179 ქულა TAMAR MEPE

165 ქულა RUSTAVELI

139 ქულა ILIA

139 ქულა PIROSMANI

სადიპლომო პროგრამის გასვლითი ღონისძიება

ბრიტანულ-ქართული აკადემიის სადიპლომო პროგრამის მე-12 კლასის ფსიქოლოგიის სტუდენტები 2023 წლის 4 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, დაჭრილ-დაზარალებული ჯარისკაცების ფსიქოლოგიურ სარეაბილიტაციო ცენტრს ესტუმრნენ.

ბრიტანულ-ქართული აკადემიის მეთორმეტე კლასის მოსწავლეებმა საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) სადიპლომო პროგრამის (DP) ფარგლებში, გაიარეს ფსიქოლოგიის კურსი, კერძოდ კლინიკური ფსიქოლოგია, რომლის მთავარ მიმართულებასაც პოსტტრავმული აშლილობა (PTSD), მისი ბიოლოგიური და კოგნიტური გამომწვევი მიზეზები და მედიკამენტოზური თუ თერაპიული მკურნალობის გზები წარმოადგენს.
გასვლითი ვიზიტის ფარგლებში, მოსწავლეები შეხვდნენ საქართველოს ძალოვან სტრუქტურაში მოღვაწე პირებს, როგორც დაჭრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს, ასევე, მათთან და მათი ოჯახის წევრებთან მომუშავე ფსიქოლოგებს და გაეცნენ სამსახურის სპეციფიკას ჯარისკაცების დახმარების კუთხით. მათ მიიღეს პრაქტიკული ინფორმაცია პროფესიონალი ფსიქოლოგებისაგან, დაუსვეს კითხვები, პოსტტრავმატულ აშლილობასთან დაკავშირებული კლინიკური ფსიქოლოგიის საკითხებზე უფრო ღრმა ცოდნის მისაღებად.

დასწრება და პუნქტუალობა

მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყველა იმ მშობელს, რომლებიც შვილებს სკოლაში სისტემატიურად და პუნქტუალურად გამოცხადებაში ეხმარებით. წარმატებული სწავლა-სწავლების პროცესისთვის სკოლაში დროულ მოსვლასა და სისტემატიურ დასწრებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ეს არის შესანიშნავი მაგალითი სკოლისა და ოჯახის წარმატებული თანამშრომლობისა.

მოსწავლეთა ყოველწლიური დაჯილდოება

საბაზო-საშუალო საფეხურის დაჯილდოების ცერემონიამ დიდი წარმატებით ჩაიარა. ჩვენმა მოსწავლეებმა სერტიფიკატები აკადემიური მიღწევების, სკოლის ფასეულობების დემონსტრირებისა და 100% დასწრებისთვის მიიღეს. გაიცა დირექტორის ჯილდოები, რომლებიც მოსწავლეებმა განსაკუთრებული აკადემიური მიღწევებისა და გამორჩეული ქცევის დემონსტრირებისთვის მიიღეს.

სპორტული სიახლეები

- ბრიტანულ-ქართული აკადემიის ბიჭების ფეხბურთის გუნდმა, ამხანაგურ მატჩში, თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის გუნდს სძლია.
- ბრიტანულ-ქართული აკადემიისა და თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა გამარჯვება მოიპოვა თექვსმეტწლამდელ გოგონათა ხელბურთის ტურნირში. ფინალში ჩვენმა გუნდმა თბილისის თავისუფალი სკოლის გუნდი დაამარცხა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრა

ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეები 9 დეკემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიცირებულ შეხვედრას დაესწრებიან, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართება. შეხვედრა გენდერული თანასწორობის შესახებ მნიშვნელოვან საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.